

## ომის ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა

### მუხლი 1. პროგრამის აქტუალობა

1. მოქმედი კანონმდებლობით ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები 60 წლის მანძილზე სხვა სოციალურ პრივილეგიებთან ერთად სარგებლობდნენ უფასო სამედიცინო დახმარებით, რომლის უზრუნველსაყოფად შექმნილი იყო ომის ვეტერანთა სამედიცინო დახმარების ერთიანი სისტემა. აღნიშნულ კონტიგენტს ყოველწლიურად უტარდებოდათ კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა პოლიკლინიკებში და ჰოსპიტალში.

2. საქართველოში მცხოვრები მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანების, საქართველოს თავისუფლებისთვის და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ვეტერანებში მაღალია ინვალიდობის ხარისხი. ომის ვეტერანებს და ინვალიდებს გარდა ძველი ჭრილობებისა თანდართული აქვთ ქრონიკული დაავადებები. ახალგაზრდებს მძიმე ფიზიკურ ტრამევებთან ერთად (ამპუტირებული კიდურები) პოსტსტრესული ფაქტორი. აღნიშნული კონტიგენტი (ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები) შეადგენს 83 291 ბენეფიციარს.

### მუხლი 2. მიზანი

პროგრამის მიზანია ომის ვეტერანთა სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა.

### მუხლი 3. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ომის ვეტერანების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია, გართულებათა პრევენცია და გაუმჯობესება.

### მუხლი 4. ღონისძიებები

1. ამბულატორიული სამკურნალო-პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარების მიზანია ომის ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების უფასო ამბულატორიული პროფილაქტიკური დახმარება:

- ა) პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების განხორციელება დაავადებებისა და მათი გართულებათა მიმართ;
- ბ) სამედიცინო დახმარების მაქსიმალური მოცულობის მიწოდება ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირებისათვის;
- გ) დაავადებათა კონტროლი, დიაგნოსტიკა და პრევენცია;
- დ) სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება პროგრამის ფარგლებში არსებულ შეღავათებზე.

2. სტაციონარული სამკურნალო-დიაგნოსტიკური დახმარების მიზანია ომის ვეტერანების

სტაციონარული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა:

- ა) ომის ვეტერანებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა და ნოზოლოგიების მართვა ჰოსპიტლის ფარგლებში და ბინაზე;
- ბ) სტაციონარში კვებით უზრუნველყოფა;
- გ) ავადმყოფის გადმოყვანა სტაციონარში (საჭიროების შემთხვევაში).

### მუხლი 5. სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად.

### მუხლი 6. ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 505 000 ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

	ათასი ლარი
1. ხელფასი	210.0
2. დამქირავებლიდან ანარიცხები	42.0
3. სხვა საქონელი და მომსახურება	253.0
კომუნალური ხარჯი	83.4
სამკურნალო საშუალებები	68.5
კვება	40.5
ტრანსპორტი და ტექ. შენახვა	7.2
ოფისის ხარჯი	36.0
სხვა ხარჯი	17.4
სულ	505.0

მუხლი 7. მართვა და მონიტორინგი

შედეგების იერარქია	ინდიკატორები	გაზომვის საშუალებები	დამზვებები / რისკები
მიზანი			
ომის ვეტერანთა სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა	ბაზისურ მომსახურებაზე ჯიბიდან გადახდების ხვედრითი წილი	ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები	
ამოცანა			
ამბულატორიული მომსახურების ხარისხის და მოხმარების შენარჩუნება (ან გაზრდა)	ვიზიტების რაოდენობა	• სამედიცინო სტატისტიკის ანგარიშები	
სტაციონარ მომსახურების ხარისხის და მოხმარების შენარჩუნება (ან გაზრდა)	პოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე	• სამედიცინო სტატისტიკის ანგარიშები	მომსახურების ფასის მიახლოება რეალურ ღირებულებასთან
სტაციონარული მომსახურების ეფექტიანობის მაჩვენებელი	საწოლთა საშუალო დაყოვნება	•	
	• პოსტტრესული ფაქტორით განპირობებული კომბინირებულ პათოლოგიათა დინამიკა	•	•